

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 6 16 00000951
2016 წლის 24 ოქტომბერი ქ.თბილისი**

**სამხედრო მოსამსახურეთა მოწყობასთან დაკავშირებით
გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამხედრო დისციპლინისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეთა მოწყობა (შემდეგ-მოწყობა) ჩატარდეს სახელმწიფო დროშასთან სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე - ყოველ ორშაბათს (კვირის სხვა დღეებში, გარდა შაბათ-კვირისა და უქმე დღეებისა, სრულდება მე-3 პუნქტით განსაზღვრული ცერემონია);

ბრძანება N MOD 3 16 00000967 31.10.2016 ძალაშია 2016 წლის 1 ნოემბრიდან;

ბ) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში - დადგენილი წესითა და პერიოდულობით;

გ) სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის, სპეციალური ოპერაციების ძალებისა და ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში შემავალ იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას - ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა და უქმე დღეებისა).

ბრძანება N MOD 3 16 00000967 31.10.2016 ძალაშია 2016 წლის 1 ნოემბრიდან;

2. მოწყობის დროდ განისაზღვროს 09:00 საათი, გარდა პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების/დანაყოფების და სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფებისა, სადაც

მოწყობა ტარდება ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირების/დანაყოფების ხელმძღვანელთა და სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ/დასავლეთ სარდლების მიერ განსაზღვრული დროისა და შემადგენლობის შესაბამისად.

ბრძანება N MOD 3 16 00000967 31.10.2016 ძალაშია 2016 წლის 1 ნოემბრიდან;

ბრძანება N MOD 3 17 00000597 17.07.2017 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 09:00 საათზე, შესრულდეს სახელმწიფო ჰიმნი და სახელმწიფო დროშასთან განლაგდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მიერ განსაზღვრული სამხედრო მოსამსახურეები.

4. მოწყობისას, სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს მიმდებარე ტერიტორიაზე:

ა) შეწყდეს ყოველგვარი გადაადგილება;

ბ) სატრანსპორტო საშუალებაში მყოფმა სამხედრო მოსამსახურემ დატოვოს სატრანსპორტო საშუალება.

5. საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების და პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს დაევალოთ მოწყობისგანხორციელებასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, აგრეთვე სხვა საჭირო ღონისძიებების შემუშავება და შესაბამისი ზომების მიღება.

6. კონტროლი ბრძანების შესრულების მატერიალურ-ტექნიკურ (ლოგისტიკურ) უზრუნველყოფაზე დაევალოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გიორგი ბუთხუხს.

ბრძანება N MOD 0 16 00001035 05.12.2016 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს.

8. მოწყობა განხორციელდეს „საქართველოს სამხედრო ძალების სამწყობრო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N191 ბრძანებულების შესაბამისად.

9. ბრძანება ძალაშია 2016 წლის 1 ნოემბრიდან.